№ 156 — 1877—1899 — № 156

შაბათი, 24 ივლისი, 1899 წ.

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## მგზავრთა საყურადღებოდ

ახლად დაარსებულ იქმნა ქართველ მგზავრთათვის

ს ა ს ტ უ მ რ ო

## „ა ბ ა შ ა“

ტფილისის მეორე მალაკნის ქუჩაზედ.

ეს სასტუმრო ძალიან კარგსა და მარჯვე ადგილას არის: ტფილისის რკინის გზის სადგურის მახლობლად; სწორედ კარებზედ უვლის ავჭალის კონკაც.

ოთახები საუცხოვოდ არის მორთული და მოწყობილი.

**ფასი მეტად იაფი და ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:**

დღეში **60** კაპეიკიდგან **1** მან. **50** კაპეიკამდე. თვეობით უფრო იაფია.

(10—97—5) დავშთები მარად პატივის მცემელი ნიკო თოფურია

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

სადამოობით:

ბ. ა. ნავასარდიანი 7½—8 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ).

## ახალი ამბავი

*** ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდალურ კანტორის დადგენილებით, სიონის საკათედრო ტაძრის კანდელაკი მღვდელი ანტონ თოთიბაძე ამ თვის გასულს მიემგზავრება მოსკოვს წმ. მირონის მოსატანად საქართველოს საექსარხოსოსათვის.

*** წელს კავკასიის სტიპენდიები მოსკოვის უნივერსიტეტში დაენიშნა შემდეგთ ქართველთ, რომელთაც წელს დაამთავრეს სწავლა საშუალო სასწავლებლებში: ჯაფარიძეს, ნათაძეს, ჩიგოგიძეს, თავდგირიძეს და თოფურიას. სხვა ქალაქების უნივერსიტეტებში ქართველებისათვის არ დაუნიშნავთ სტიპენდიები.

*** ქალაქის მოურავის მოადგილემ მ. ს. შესტაკოვმა სთხოვა საერო სასწავლებელთა დირექტორს დამტკიცებულ იქმნან ქალაქის მომავალ 5 პირველ დაწყებითის სასწავლებლის მმართველებად ქ-ბნნი კალანთარისა, ხერასკოვისა, პეტროვსკისა, წულუკიძისა და ბრონსკისა.

*** ტფილისის გუბერნიის მმართველმა კ. კ. სტეფანოვიჩმა წინადადება მისცა თელავის ქალაქის მამასახლისს შეაჩეროს ქალაქის რწმუნებულთა 10 ამა ივლისის დადგენილება ქალაქის მამასახლისის თანაშემწის თანამდებობათა განსაზღვრის შესახებ.

*** ცნობილ ქველმოქმედ ქალს ქვრივს ე. მ. ნადირაშვილისას შეუწირავს სოფ. კეხის-ჯვარის სკოლის სასარგებლოდ, რომელსაც ახლად აშენებენ იქ თავ. ნ. ციციშვილის ადგილზედ, 200 მან. სასკოლო ნივთების შესაძენად.

*** ეს რამდენიმე დღეა ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ ერთ ხმოსანთაგანს მიუთვისებია ქალაქის ადგილი, რომლის ერთი ნაწილი უკვე მიუყიდნია ქალაქის გამგეობის ერთ-ერთ მოსამსახურე კაცისათვის. როცა ეს ამბავი გამოქვეყნდა, საქმის გამოძიება სწორედ იმ აგენტს მიანდეს, რომელსაც ხსენებულ ადგილის ნაწილი უყიდნია („კავკ.“)

*** ამ დღეებში ქუთაისიდგან სვანეთს გაემგზავრა განსაკუთრებული კომისია, სახელმწიფო საქმეთა საკრებულოს წევრის ბაზიკოვის თავმჯდომარეობით. ეს კომისია შეადგინა სამხედრო გუბერნატორმა იმ უმაღლესის ბრძანების სისრულეში მოსაყვანად, რომელიც შეეხება თავ. ოთარიშვილთა და დადიშქელიანთა დავას ბეჩოს მამულის შესახებ. კომისიამ უნდა გარდასცეს ბეჩოს მამული დადიშქელიანის გვარეულობის უფროს წარმომადგენელს თავ. ივანეს (თათარხანს), ხოლო ამ მამულის გლეხებს წინდაწინ უნდა მიუზომოს მიწა და მხოლოდ მცირეოდენი ნაწილი ამ მამულისა უნდა დაუთმოს ოთარიშვილთ, აგრეთვე საეპარქიო მთავრობას და ხაზინას.

*** 17 ივლისს ქუთაისის მომრიგებელ სასამართლოში გაირჩა საქმე მეპურის ოვანეს ჩახალოვისა და ვაჭრის აბრამ ელიგულაშვილისა, რომელთაგან პირველს ბრალდებოდა უვარგისი პურის გამოცხობა და გაყიდვა, ხოლო მეორეს უვარგისის ფქვილის გაყიდვა. სასამართლომ ორივე ბრალდებული გაამართლა და ამასთან ბრალდება ქალაქის მკურნალის სევალისა, რომელმაც აღძრა ეს საქმე, არა კეთილსინიდისიერ ბრალდებად სცნო, რაც, სასამართლოს დადგენილებით, უნდა მოხსენდეს ქუთ. ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს და აგრეთვე სეგალის მთავრობას.

*** უმაღლესად ნაბრძანებია, რომ სიღნაღის საქალებო პირველდაწყებითი სასწავლებელი 1900 წლის 1-ლ ივლისიდგან, ბათუმის საქალებო სასწავლებლის მგზავსად, გადაკეთებულ იქმნას მარიამის საქალებო სასწავლებლად („ჩერნ. ვ.“)

*** ქუთაისის პოლიციის ბოქაულები თავ. მიქელაძე და ნადვ. სოვ. სურგულაძე, რომელთაც სამსახურში უკანონო საქციელის ჩადენა ბრალდებათ, გადაყენებულ იქმნენ სამსახურიდგან იმ დრომდე, ვიდრე მათი საქმე გაირჩეოდეს. („ქუთ. საგუბ. უწყ.“)

*** როგორც „ჩერნ. ვესტ.“-ს ატყობინებენ მიწად მოქმედების მინისტრს განზრახვა აქვს, რომ შავი ზღვის გუბერნიისა და სოხუმის ოლქის დათვალიერების შემდეგ ინახულოს ბათუმის მიდამოები და ჩაქვის ჩაის ბუჩქები.

*** იმავე გაზეთის სიტყვით, სოხუმის ოლქში თითქმის ყველგან კარგ მოსავალს მოელიან ღვინისას, განსაკუთრებითა-კი გუდაუთის ნაწილში.

*** სპარსეთში სომხებს სომხური წიგნების ბეჭდვა დაუწყიათ; „მშაკის“ სიტყვით, ამ მოკლეს დროს, სპარსეთის ქალაქს ახალ-ჯუგაში ერთი სომხური წიგნი გამოუციათ, რომელშიაც აწერილია სპარსელ სომეხ ქალთა განვითარების ისტორია.

*** ქუთაისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით, ამ ჟამად ეძებენ: 1) გლეხს ალექსი ივ. წირქვაძეს, რომელსაც ჰბრალდება კონსტ. ბეგეჭკორის მოკვლის განზრახვა; 2) ბათუმის ოლქის სოფ. ლიმანის მცხოვრებს რეშიდ-ომერ-ოღლი ხაჯი ოდელს, რომელსაც ჰბრალდება მუსტაფ ნოდბაიას მოკვლის

## ფელეტონი

### სადილის საძებნელად.

ამბავი მუანოსი

ტამპონემა შემდეგის შინაარსის ბარათი მიიღეს:

„ძვირფასო მეგობრებო“!

„მოულოდნელად ერთის ჩვენის ნაცნობისაგან მოგვივიდა საუცხოვო კალმახი. რადგანაც შეიძლება კალმახი გაფუჭდეს, ამიტომ გთხოვთ არ დაიზაროთ და დღეს სადილად გვეწვიოთ“.

ამ ბარათმა ბ-ნი ტამპონე მეტად კარგ გუნებაზედ დააყენა. ტამპონე სიხარულისაგან ცალფეხზედაც-კი შეხტა.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ ტამპონეს მუცლის პატივი ძლიერ უყვარდა და სწორედ ეს იყო კიდეც მიზეზი, რომ იმასა და იმის პატივცემულ მეუღლეს თითქმის ყოველ დღე ლაპარაკი მოსდიოდათ. დიასახლისი ამტკიცებდა ხოლმე, მაგალითად, რომ მზარეული ქალი მშვენიერ საჭმელებს ამზადებსო, ტამპონე-კი მუდამ გაიძახოდა, რომ ამ მშვენიერმა საჭმელებმა კუჭი წამიხდინესო. აი დღესაც, წერილის მიღებამდე, მეუღლეთ სადილის გამო ცხარე ლაპარაკი ჰქონდათ. „სულ ერთი და იგივე საჭმელები, ერთი და იგივე მოხრაკული ცხვრის ხორცი“,—ბუტბუტებდა ბრაზ-მორეული ტამპონე.

— ვისაგან არის ბარათი?—ჰკითხა ცოლმა.

ტამპონე პასუხის ნაცვლად უფრო გულ-მოდგინედ ჩააცქერდა ბარათს.

— შენ გეუბნები, ვისგან არის მეთქი ეგ ბარათი? ჩაეკითხა მეორედ ქ-ნი ტამპონე.

— დამაცადე გავარჩიო... ბუსო... გუსო...

— გუსო? ჰო, მართლა იმისაგან იქნება. რა დაგემართა, რას ჩააცივდი მაგ ბარათს?..

— თუმცა „გუსო“ წავიკითხე, მაგრამ, მე მგონია, „ბუსო“ უნდა იყოს...

— გუსოც და ბუსოც ჩვენი საუკეთესო მეგობრები არიან, მაგრამ მაინც საჭიროა გავიგოთ, რომელი იწერება ბარათს.

— ჩემის აზრით, არც ერთი და არც მეორე; აქ გარკვევითა სწერია—პუასარი. დიაღ, დიაღ, პუასარი...

— მომეცი აქ ერთი ეგ ბარათი...

მაგრამ ვერც ცოლმა გაიგო რამ.

— აქ ეშმაკიც ვერაფერს გაარჩევს. ავდგეთ ჩვენცა და შინ დავრჩეთ. მორჩა და გათავდა,—წამოიძახა ცოლმა.

ეს წინადადება ვერაფრად ეჭაშნიკა ტამპონეს.

— უნდა შევატყობინოთ მაინც, რომ სადილად ვერ წავალთ,—სთქვა იმან.

— ვის უნდა შეატყობინო, როცა არ იცი, ვინ გეპატიჟება?

— იცი რა მოვიგონე,—წამოიძახა გახარებულმა ტამპონემ: მოვაყვანინოთ ეტლი და სამივეს ჩამოუაროთ. ჯერ პუასართან წავიდეთ...

— იქნება გგონია, ავიღო თავი და ქუჩა-ქუჩა ვიარო, ვეძებო ვისთანა ვართ დაპატიჟებული. უკაცრავად, მე ვერსადაც ვერ წამოვალ.

— ვერ წამოხვალ და შინა ბრძანდებოდე! მარტოკაც კარგად გიახლები.

— შენმა გაუმაძღრობამ ლამის სიცოცხლე მომიწამლოს! ვეღარ მოითმინა ცოლმა.

— გაუმაძღრობა, გაუმაძღრობა! თითქოს ქუჩის დედაკაცი იყო, ისეთ სიტყვებსა ჰხმარობ!

— შენ მზადა ხარ, სადილის გულისთვის ცოლიც-კი გაჰყიდო...

— კმარა, გეყოფა, თავი მომაბეზრე სისულელეებით,—წამოიძახა ტამპონემ.

— მეც მომბეზრდა შენთან ლაპარაკი,—მიუგო არა ნაკლებ გაჯავრებულმა ცოლმა, კარები მაგრა მოაბრახუნა და მეორე ოთახში გავარდა.

ტამპონემ ტყუილად დრო აღარ დაჰკარგა, დაავლო შლიაპას ხელი, გავარდა გარეთ, დაუძახა ეტლს, ჩაჯდა შიგა და გაუდგა გუსოსაკენ გზას.

— რა მოხარული ვარ, რომ მობრძანდით.—მიეგება დიასახლისი, როდესაც ტამპონე გუსოს სახლში შევიდა.—დღეს მეტად ცუდ გუნებაზედ ვარ: დილას აქეთია თავი მტკივა.

ტამპონეს ამ სიტყვებმა ნემსსავით უჩხვლიტეს: მიხვდა, რომ კალმახი სადღაც სხვაგან უნდა იყოს.

— რას უდგეხართ ფეხზედ, დაბრძანდით! თავაზიანად მიჰმართა ხელახლა ქ-ნმა გუსომ.—სწორედ დიდი ყურადღებაა თქვენის მხრით, რომ მოხვედით და მნახეთ. დღეს ჩემი ქმარი სხვაგან წავიდა სადილად და მთელი დღე მოწყენილი ვარ... დაბრძანდით...

რა ექმნა ტამპონეს, ხომ არ ეტყოდა, შევცდი, მეგონა კალმახზედ თქვენ დამპატიჟეთო. მაინც გამბედაობა მოიკრიბა და დაიწყო:

— გმადლობთ, მე ვერ დავჯდები: ცოტას ხნით შემოვიარე გამეგო, როგორა ბრძანდებით...

— თხუთმეტი წუთი მაინც მოითმინეთ. როგორა ბრძანდება თქვენი მეუღლე? სამაგალითო ქალია, უნდა მოგახსენოთ...

— დიაღ!—წამოიბუტბუტა ტამპონემ.

— საუცხოვო ხასიათი აქვს; წყნარი, უწყინარი ადამიანია. უთუოდ ბედნიერადა სცხოვრობთ; ლაპარაკი არასოდეს არ მოგდით...

— მართალს ბრძანებთ, ლაპარაკი არასოდეს არ მოგვდის,—დაემოწმა ტამპონე.

— აი, ასეთი ცოლ-ქმრობაა სანატრელი და სასურველი; უნდა მოგახსენოთ, რომ ოჯახისათვის უმ-

განზრახვა; 3) სენაკის მაზრის სოფ. ფადარის გლეხს აქსენტი ცომაიას, რომელსაც ჰბრალდება ოტია კორძაიას გაძარცვა და ონისიმე კაკულიას მოკვლა; 4) სამურზაყანოს ნაწილის სოფ. ნაბაქევის მცხოვრებს თავ. ოთარ (იგივე აკაკი) ანჩაბაძეს, რომელსაც ჰბრალდება ბახვა ქორდავას სახლის გაქურდვა.

*** რადგან წყლის დაკლების გამო, მტკვრის ნაპირებზედ დიდი სიბინძურე გაჩნდა, ამის გამო სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე იმის შესახებ, რომ 1) დასუფთავდეს მდინარის ნაპირები; 2) გაიწმინდოს სოლოლაკის არხი და გაითხაროს სიბინძურის წასადენი არხი მდინარემდე; 3) დაიწმინდოს მე 8 ნაწილში მეორე ნაპირი და გაითხაროს არხი წყლის სავლელად გაზაფხულზედ; 4) გაძლიერდეს პოლიციის ზედამხედველობა მტკვრის ნაპირებზედ და აეკრძალოთ მცხოვრებთ იქ ნაგვის დაყრა და 5) გაიმართოს საგანგებო ხის ღარები მდინარეში ნაგვის ჩასაყრელად.

*** სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორის განკარგულებით, ყველა მოვაჭრეთ აკრძალული აქვთ ტყვიის ფურცლებში გაახვიონ სხვა-და-სხვა გვარი ქონის ნივთიერება და ზოგიერთი ნაწარმოები, მაგალითად: ჩაი, ყველი, ხიზილალა, ერბო და სხ.

*** 21 ივლისს განსვენებულის ნ. ე. ზუბალაშვილის ანდერძის აღმასრულებლებმა წარადგინეს ქალაქის გამგეობის კასაში მისმიერ ქალაქის სასარგებლოდ ნაანდერძევ თანხის ანგარიშში 19,501 მან. და 29 კ.

*** როგორც ქალაქის გამგეობის ცნობებიდგანა სჩანს, წელს ტფილისში გაუხსნიათ 242 დუქანი და სამიკიტნო, 13 სასტუმრო, 8 ბუფეტი, 12 რესტორანი, 37 ყავახანა და საკანდიტერო, 30 ბაკი და 3 ლუდხანა.

*** პოლიცმეისტრის თანამდ. აღმასრულებელმა უბრძანა პოლიციის ბოქაულთ: ზომები მიიღეთ, რომ სურსათით მოვაჭრე დუქნები სუფთად ინახებოდეს გარედგანაცაო.

—

**შეცდომის გასწორება.** „ივერიის“ მე-155 ნომერში დაბეჭდილია იმათი სია, რომელთ შორისაც მცხეთის განსაახლებლად ბ-ნ ლ. ფირცხალავას შეუგროვებია 14 მ. 65 კაპ. შემომწირველთა სიაში შეცდომით გამოტოვებულია ბ-ნი დავიდოვი, რომელსაც 20 კაპ. შეუწირავს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ს. ტობანიერი** (ქუთაისის მაზრა). მეორე თვე გადის, რაც აქეთ წვიმა არ ყოფილა; გადახმა ყანები, ბოსტნები და ვენახები; დღისით სიცხეა და ღამით ცა ღრუბლებით არის შემოსილი, ასე რომ ნამიც არვარდება, მცენარეები ცოტაოდნად გამოაცოცხლოს.

ამას წინად გლეხებმა განაჩენი დაადგინეს აქ, რომ ქურდობისათვის გადაესახლებინათ ამ სოფლიდგან სამი გლეხი და ერთი აზნაური. რადგანაც გლეხებმა აზნაური თავისს განაჩენში ჩაიტანეს, ამის გამო მთავრობამ არ დაამტკიცა ეს განაჩენი. ახლად შეამოწმეს განაჩენი; 14 ივლისს ქუთაისიდგან მოვიდა მაზრის უფროსი ი. ტ. პლეტენევი და სამტრედიის ნაწილის ბოქაული სტ. გრ. იაშჩენკო; მოიწვიეს მთელი საზოგადოების გლეხები და აზნაურები. მაზრის უფროსმა გამოჰკითხა გლეხებს, გსურთ თუ არა დასახელებული გლეხები გადასახლებულ იქმნანო? თუ თქვენ გსურთ, შემდეგ აზნაურებსაც ვჰკითხავ, ისურვებენ ისინი თუ არა, განაჩენში მოხსენებულ აზნაურის გადასახლებასო? გლეხები შეიშვიანდნენ და ერთხმად მოახსენეს: „ჰკითხეთ, ბატონო, ჯერ აზნაურებს; თუ ისინი არ გადაასახლებენ, მათში ვინც არის ქურდი, მაშინ ვერც ჩვენ გადავასახლებთ; ამიტომ რომ ჩვენ გადავასახლოთ და იმათ-კი დაზოგონ და შეინახონ მოთავე ქურდიო!“ მაზრის უფროსის კითხვაზედ აზნაურები თანახმა გახდნენ და დაადგინეს განაჩენით, განშორებულ იქმნას მათგან აზ. ნესტორ მილორავა, როგორც მავნე წევრი საზოგადოებისა. ამ განაჩენს ყველა აზნაურმა მოაწერა ხელი. ამის შემდეგ გლეხებმაც დაადგინეს, — გადასახლებულ იქმნას ამ საზოგადოებიდგან შორეულ ქვეყნებში გლეხები მინაშვილი, ტაბიძე, და ბუბუტეიშვილიო. მინაშვილი და მილორავა დატუსაღებული არიან, ტაბიძე და ბუბუტეიშვილი სადღაც იმალებიან; მთავრობა დაეძებს.

ვლადო ბზვანელი

## ცხეთის სამონასტრო დედათა სკოლის გამო

წარსულის თვის 3-ს ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორმა არქიმანდრიტმა ჰერმოგენმა თანადასწრებით და დახმარებით ამავე სემინარიის მასწავლებლის ილ. ფერაძისა და მომღვრის იასონ ლაბაძისა გამოსცადა მცხეთის წმ. ნინოს მონასტერთან არსებულ დედათა სკოლის მოსწავლენი ყველა საგანში. ბევრს საგულისხმო აზრს გამოიწვევს ამ სკოლის ნახვა შეგნებულ ქართველის ცნობიერებაში. პირველი აზრი, რომელიც მის გულში გაჩნდება ამ სკოლის ნახვით, იმას შეგნებაა, რომ ადამიანს, უკეთუ მოინდომა, უკეთუ მოისურვა, თუ მხნეობა და საქმის სიყვარული თან ახლავს, ბევრის გაკეთება შეუძლიან ცხოვრების სარბიელზედ. ამ მონასტრის გამგე და სკოლის უფროსი იღუმენია დიდად პატივცემული ნინო სწორედ ცოცხალი მაგალითია შრომისა, მხნეობისა, მეუფათობისა, საქმისთვის თავ-დადებისა; იგი მზრუნველი დედაა, რომელმაც წმ. ნინოს ძველს მონასტერში არ შესწყვიტა მშობლიური ხმა საღმრთო ღაღადებისა, ხმა ლოცვისა და ვედრებისა, არ შესწყვიტა ის დიადი, ის საკეთილო გავლენა, რომელიც ამ მონასტერს ჰქონდა მთელის ქართველების ცხოვრებაზედ. იღუმენია ნინო ძველ ქართველ ქალებს, ძველს დედებს მოგვაგონებს, იმ დედებს, რომელთათვის ამ სოფლად მარტო გართობა და სიამოვნება, უქმად დროს გატარება, გუშის სამსახური-კი არ არსებობდა, არამედ — შრომა და ერთგულება მშობლიურ ეკკლესიის მიმართ, რომლის გულისათვის ისინი მზად იყვნენ თვისი სიცოცხლე ემსხვერპლათ. ეს დედები არას ჰზოგავდნენ ხალხში სწავლა-განათლების გასავრცელებლად, კეთილ-ზნეობის აღსაყვავებლად. აარსებდნენ მონასტრებს და იმასთან სკოლებს, რომელნიც სწავლა-განათლების ცხოველ-მყოფელ სხივებს ჰფენდნენ მოზარდ თაობასა და მთელს ერს. გავიხსენოთ აწინდელი ქვაბთახევის მონასტერი, რომელიც ძველად დედათა მონასტერი იყო და აგრეთვე თიღვის ტაძარი ქართლში, რომელთანაც დაარსებული იყო ძველად ს. დედათა მონასტერი და სხვ. ქართველმა დედებმა მონასტერი თავისთვის დააარსეს თვით მაცხოვრის სამშობლო პალესტინაშიაც, სადაც ბევრი მათგანი ჰმოღვაწეობდა ეკკლესიის სასარგებლოდ და სიცოცხლის უკანასკნელს დღეებს ატარებდა იმის მეუდრო სავანეში.

დიდად პატივცემულს იღუმენია ნინოს ვერ წარმოუდგენია ისეთი მონასტერი, რომელთანაც სკოლა არ არსებობდეს; და ეს ასეც იყო ძველად საქართველოში: მონასტრები და მათში მოღვაწეები აღსრულებდნენ დიდს საშვილიშვილო, ზოგად სასარგებლო საქმეს სწავლა-განათლების გავრცელებისას, რომლის მეოხებით ადამიანი ადამიანობს და ერი ერობს. ცხეთის დედათა სამონასტრო სკოლა ცოტათი მაინც ჰგავს „ახალ სახის“ სკოლებს, რომელთ შესახებ ამ ბოლო დროს ხშირად სწერენ რუსულს და ქართულს ჟურნალ-გაზეთებში. უფროსები და მოსწავლენი ამ სკოლისა თითქმის ერთად სცხოვრობენ და ერთმანეთში ისეთი კავშირი აქვთ, როგორიც დედებსა და შვილებს. მოსწავლეები სცხოვრობენ წმინდა ჰაერზედ; იკვებებიან უბრალო საჭმლით, დაარბიან წირვა-ლოცვაზედ, იღებენ მონაწილეობას საეკკლესიო წიგნების კითხვასა და გალობაში, ასე რომ ისინი იზრდებიან ისეთ გარემოებათა გავლენის ქვეშ, რომელსაც შეუძლიან მათი გონებრივ-ზნეობრივად და ფიზიკურად განვითარება. უფროსები მრისხანედ არ ეპყრობიან თავისს მოსწავლეებს, რომელთაც მხოლოდ ზნეობითად ემონიან მათ, — და ზნეობითი შიში ხომ ის ცხოველ-მყოფელი თვისებაა, რომელსაც შეუძლიან ბავშვი კეთილ-ზნეობიანი გაჰხადოს. ვინ არ იცის, რა დიდი ცოდვაა სიცრუე, ის სიცრუე, რომელიც ბავშვის უმანკო გულში პირველად, სხვა ცოდვებზედ ადრე, დაიბუდებს და გახდება წყაროდ მისის სხვა ცოდვებისა... ეს სიცრუე უფრო გაძლიერდება მოსწავლის გულში, თუ მრისხანე, ულმობელი აღმზრდელი და მასწავლებელი ჰყავს, თუ მას ეშინიან მისი და დარწმუნებულია, რომ ისინი არ დაინდობენ მას და გულახდილი პირდაპირის პასუხისათვის დასჯიან შეუბრალებლად... ამ შემთხვევაში უსუსტდება ბავშვს გრძნობა სიმართლისა, რომელიც შეადგენს მისს თანშობილს, თან დაყოლილს თვისებას. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ ნაკლულევანებას ასცდებიან ცოტად თუ ბევრად ცხეთის სამონასტრო სკოლის მოსწავლეები, რომელთაც ეტყობათ სისადე ზნეობისა, გონებისა და სხეულისა.... ისინი იზრდებიან ბუნების წიაღში, იმ ადგილას სადაც გაისმოდა წმ. ნინოს ტკბილ, მომღერება ტკბილის იესოს შესახებ, იქ, სადაც თითოეული საგანი, თითოეული მოხერვა სიოსი, თითოეული ტალღა მოდუდუნე მტკვრისა და ცელქის არაგვისა — მოწმეს მოაგონებს საქართველოს წარსულს, აღსავსეს სისხლ ცრემლით, ტანჯვა-ვაებით, მაგრამ შეპკულს ქართველთა მტკიცე, უანგარო სიყვარულით მაცხოვრის სწავლის მიმართ, რომლისთვის პატარა საქართველო მძინვარე, აბობოქრებულს მღვარეს აზიას ეომებოდა და მის დაცვას, პირუტის თქმისამებრ, ყველაფერი ანაცვალა... აქ თითოეულის ნაშთის დანახვაზედ შეგნებულს ადამიანს მთელს ტანში ჟრუანტელი უვლის, ავიწყდება საწუთრო, მუხთალი წუთისოფელი, ტკბილ გრძნობით აღივსების იმისი გული და უნებლიედ ფიქრით მიჰფრენს წარსულისაკენ და გრძნობა უკვდავებისა გრძნობა ტკბილი, სასოების გამაძლიერებელი მთლად მოიცავს იმისს არსებას... იგი ამ ჟამად ბედნიერია... უნებლიედ ქედს იხრის მამა-პაპების წინაშე, უამბორებს, საიდუმლოდ ესაუბრება მათს მავიწყებულს სავლავებს და ქებაქებათა უძღვნის მათ სახსოვარს, მათს სახელებს იმის გამო, რომ ისინი ემსახურებოდნენ თავგანწირულად ჭეშმარიტებას, სიკეთეს და სიმშვენიერეს. ამ სამს საუნჯეს, რომელიც თვისს შორის შეიცავს კაცობრიობის საუკეთესო მისწრაფებათა, — ემსახურებოდნენ და მათთვის ხვდათ წილად „საკვდილი სახელოვანი“, რომლისაც ისინი გაცილებით ამჯობინებდნენ ნამრახსა სიცოცხლესა...

ფარი

(დასასრული იქნება)

---

თავრესად მშვიდობიანი და კეთილი განწყობილებაა საჭირო. სხვას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; არც სიმდიდრეს, არც ხარისხს... და ქ-ნმა გუსსომ მოშლილ წისქვილსავით გააბა ლაპარაკი.

აქ-კი ტამპონე მორიელ ნაკბენსავით წამოხტა ფეხზედ.

— დღეს თქვენ უქეიფოთა ბრძანდებით და არ მინდა ჩემის აქ ყოფნით შეგაწუხოთ, — მიჰმართა დიასახლისს.

— არა უშავს რა, დაბრძანდით, დაბრძანდით. პირიქით, თქვენთან ლაპარაკმა თავის ტკივილიც-კი დამავიწყა.

— ჩემს ცოლსაც ხშირად სტკივა ხოლმე თავი. ექიმმა აუკვეთა ბევრი ლაპარაკი. ვშიშობ, თქვენც არ გაწყინოთ...

— გარწმუნებთ, უკეთა ვარ...

ქ-ნი გუსო ფეხზედაც-კი წამოდგა, მაგრამ ტამპონემ აღარ დაუცადა, თავი დაუკრა და გარედ გამოვიდა.

— სად მიბრძანდებით? — მიჰმართა მეეტლემ.

ტამპონემ ეთხელ კიდევ ამოიღო ბარათი.

— რასაკვირველია ბუსოსი! — წაიბუტბუტა. შემდეგ გადასცა ადრესი და ხელ-ახლა გაუდგა გზას.

ბუსო სამის დღით ჰავრში გამგზავრებულიყო, ხოლო იმის მეუღლეს დაეთხოვნა მოსამსახურე ქალი და მზარეული და თვით საუკეთესო რესტორანში წასულიყო ორის კაცისათვის სადილის შესაკვეთად. სადილი სასტუმროდგან სახლში უნდა გამოეგზავნათ. ბუსოს მეუღლეს ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი ჰყვანდა სადილად დაპატიჟებული და აბა რას წარმოიდგენდა, რომ ტამპონე სწორედ დღეს მოადგებოდა კალმახისათვის კარზედ.

ჩვენმა ტამპონემ ზარის ჩამორეკა ვერც-კი მოასწრო, რომ კარი გაიღო და თეთრად გამოწყობილი მზარეული გამოვიდა ცარიელის კალათით ხელში. რაკი კარები ღია დაინახა, ზარს აღარ ჩამოჰკრა და პირდაპირ შევიდა სახლში.

— ძლივს, — წამოიძახა ტამპონემ, დაინახა რა შესვლისათანავე ფრაკში გამოწყობილი ყმაწვილი კაცი.

„ეს-კი ცუდია, რომ არ შემატყობინეს, თუ სტუმარი ჰყვანდათ: ფრაკს ჩავიცვამდი,“ — გაიფიქრა.

— უთუოდ თქვენც სადილად აქ ბრძანდებით დღეს? ჰკითხა ტამპონემ ყმაწვილს.

— არა, მე რესტორანიდგანა ვარ გამოწვეული და დაგვიანებულს სტუმარს ვუცდი. ნაბძანები მაქვს სადილი მაშინ მივართვა.

„ნამდვილად ეს დაგვიანებული მე ვიქნებიო, გაიფიქრა ტამპონემ და დაუკითხავად სასტუმრო ოთახში შევიდა“. მაგრამ იქაც არავინ დახვდა. — არც აქ არიან, შეიძლება ბუსოს კაბინეტში გავიდნენ მასპინძელი და სტუმრები. ტამპონე ახლა იქით გაემართა, მაგრამ კაბინეტის კარები დაკეტილი დახვდა..

— რას ჰნიშნავს ეს? რომ ვერაფერი გამიგია?!. წამოიძახა გაკვირვებულმა ტამპონემ.

სწორედ იმ დროს, როდესაც ტამპონე ასე გაცხარებული დაეძებდა მასპინძელსა და სტუმრებს, სადგომის მეორე მხარეს შემდეგ ამბავი მოხდა. ბუსსო გზაში შეჰხვდა იმ კაცს, ვისთანაც საქმე ჰქონდა, მოელაპარაკა და იმავე დღეს უკანვე, სახლში, დაბრუნდა. რადგანაც კარის გასაღები ჯიბეში ედო, ზარი აღარ ჩამორეკა, გააღო კარი და შევიდა. მაგრამ საშინლად გაჰკვირდა, როდესაც იქ ფრაკსა და თეთრ გალსტუხში გამოწყობილი კაცი დაინახა.

— უკაცრავად, თქვენ საქმე ხომ არაფერი გაქვთ, მე გახლავართ სახლის პატრონი. — მიჰმართა გუსომ ზრდილობიანათ.

ლაქიამ განუმარტა, რომ რესტორანიდგანა ვარ და დაუმატა, სტუმარი, რომელსაც დიასახლისი ელოდა, მოვიდა კიდეცა და ემ საათში მიბრძანებენ სადილი მივართვაო.

„სტუმარი, სადილი, ლაქია... არაფერი არ მესმის“, წაიბუტბუტა ბუსომ.

საჭიროა განვმარტოთ, რომ ბუსო მეტად ეჭვიანი კაცი იყო. ეჭვებით ოტელლოსაც-კი გადააჭარბებდა.

— ვინ სტუმარი? რა სადილი? შეჰყვირა მოთმინებიდგან გამოსულმა ბუსომ.

— რა მოგახსენოთ, ბატონო, თვით ქალბატონი ბრძანდებოდა რესტორანში, სადილი ორისათვის შეუკვეთა, — მიუგო ლაქიამ თავაზიანად.

მაგრამ ბუსოს ყური აღარ დაუგდია, ტყვია ნაკრავივით სასადილო ოთახში შევარდა.

— ჰხედავთ, რა ამბები ხდება ჩემს აქ არ ყოფნის დროს, — წაიბუტბუტა ბრაზ-მორეულმა ბუსომ, რაკი გაშლილი სუფრა დაინახა.

ამ დროს ვიღაცამ ზარი ჩამორეკა. ქ-ნი ბუსსო, დარწმუნებული, რომ ეს ჩემი სტუმარიაო, ფეხზედ წამოიჭრა და თავისს ოთახიდგან კარებისაკენ გაეშურა ძვირფასს სტუმრის მისაგებებლად; მაგრამ სტუმრის ნაცვლად პატარა ბიჭი დაჰხვდა, რომელმაც წერილი გადასცა. წერილში ყმაწვილი კაცი ატყობინებდა, რომ დღეს ავად გავხდი და, საუბედუროდ, სადილად ვერ მოვალო. ამ ამბავმა ქ-ნი ბუსსო ძალიან დააღონა; გულით მოელოდა ყმაწვილ კაცს: მარჯვე დრო ძლივს ჩაიგდო და ახლაც არ აუსრულდა გულის წადილი....

— ეხლა რა უნდა უყო ამ სადილს? ჩაილაპარაკა თავისთვის და საწოლ ოთახისაკენ გაეშურა, მაგრამ სწორედ კარებში თავისს ქმარს-კი დაეჯახა.

— ააა, ძლივს არ გიპოვნეთ, ქალბატონო! წამოიძახა ცეცხლ-მოკიდებულმა ბუსომ. — ვისთვის მოამზადეთ ეს სადილი? ვინ არის თქვენი ძვირფასი სტუმარი?

ეს ამბავი ისე მოულოდნელად მოხდა, რომ ცოლმა ველარაფერი ვერ მოახერხა. ის გაშტერებულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რუსეთი

გაზ. „Риж. Вѣст.“-ი სწერს, რომ მომავალ სამოსწავლო წელს იურიევის უნივერსიტეტში სემინარიებში სწავლა დამთავრებული ცოტა იქმნება მიღებულიო. უპირატესობას იურიევის სემინარიაში სწავლა-დამთავრებულთ მისცემენ. ეს სემინარიელნი უკონკურსოდ იქმნებიან მიღებულნი.

— სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, კბილის ექიმთა კრებას შუამდგომლობა აღუძრავს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ კბილის ექიმობაში შეგირდობა მოსპობილ იქმნას. როგორც ვუწყით, იმას, ვინც სამ წელიწადს კბილის ექიმთან დაჰყოფს და ამ ხელობას შეისწავლის, კბილის მკურნალობის ნება ეძლევა. ასეთ მკურნალებს „დანტისტებს“ ეძახიან. კრებაზედ მყოფ კბილის ექიმებს პირობა დაუდვიათ აღარ მიიღონ შეგირდები.

— წელს ხარკოვის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში 213 თავისუფალი ვაკანსიაა. ეგზამენები ამ ინსტიტუტში 17 აგვისტოს დაიწყება. კიევის პოლიტეხნიკუმში 321 თავისუფალი ვაკანსიაა: მექანიკურ განყოფილებაზედ 98, ქიმიურზედ—59, საინჟინეროზედ—86 და სასოფლო-მეურნეობაზედ—78. მოსკოვის უნივერსიტეტში ყველა ფაკულტეტზედ მიღებულ იქმნება 250 კაცამდე.

— საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ კერძო კაცებმა ნება-რთვა სამხატვრო სკოლების დაარსებლად საიმპერატორო სამხატვრო აკადემიისაგან უნდა აიღონო.

— გაზეთების სიტყვით საერო განათლების სამინისტროს აზრადა აქვს დედათა გიმნაზიებში შემოიღოს ახალი სამოსწ-ვლო გეგმები და პროგრამები. პროექტი ამის შესახებ უკვე შეუმუშავებია სამინისტროს და მზრუნველებისათვის გაუგზავნია სამზრუნველო საბჭოებში განსახილველად.

— იმ დიდ ქალაქებში, სადაც საქარხნო წარმოებაა განვითარებული, განსაკუთრებული საპოლიციო ზედამხედველობა იქმნება დაწესებული ქარხნებსა და ფაბრიკებში.

— რადგან მოსკოვში უმაღლესს საქალებო კურსების დაარსების პროექტი სახელმწიფო საბჭოს უნდა გარდასცენ განსახილველად, ამის გამო მომავალ სამოსწავლო წელს კურსები კიდევ არ დაარსდება.

— პეტერბურგიდგან „პრ. კრ.“ ს დეპეშით აუწყებენ, რომ ამ ჟამად საკანონმდებლო წესით შეუდგნენ ვაჭართა წოდების უფლებათა საქმის განხილვასაო.

— გზათა სამინისტროს განზრახვა აქვს დააარსოს განსაკუთრებული ფონდი რკინის გზების ზოგიერთს დიდ სადგურებზედ უფასო საზოგადო ბინების გასამართავად რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებელთა მოსწავლეთათვის.

— სამკურნალო დეპარტამენტში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ეროზბას უფლება მიეცეს გახსნას აფთიქები იქ, სადაც ეს მოსახერხებელია, არსებულ აფთიქების გარდა.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** გენერალ ნეგრიეს სამსახურიდგან დათხოვნამ დიდად ააშფოთა საფრანგეთის საზოგადოება. ეს საკვირველიც არ არის, რადგან ნეგრიე ერთ საუკეთესო გენერლად ითვლებოდა და ფიქრობდნენ, რომ თავისს დროზედ იგი გენერალისიმუსის ხარისხს მიიღებსო. ამ ჟამად ის იყო უმაღლეს სამხედრო საბჭოს წევრი და ჯარების ინსპექტორი. მისი დათხოვნის მიზეზი, გაზეთების სიტყვით, შემდეგი გარემოება იყო:

ნეგრიე, როგორც ინსპექტორი, ჯარებს ათვალიერებდა; ამ დროს მას ხშირად საუბარი ჰქონდა გარნიზონის უფროსებთან, დივიზიის და ბრიგადის გენერლებთან, პოლკოვნიკებთან და სხვებთან. ერთხელ ასეთ ლაპარაკის დროს ის კრიტიკულად შეეხო მთავრობის საქციელს, რომელიც, როგორც თითონა სთქვა, არავის უშლის მხედრობის კიცხვასო, და ბრძანება გაუგზავნა გენერლებს, გარდაეცათ თქვენ ხელქვეით აფიცრებს, რომ საქმე ასეთს მდგომარეობაში დიდ ხანს არ დარჩებაო. კარგად უნდა იცოდნენო, — ამბობდა ნეგრიე, — რომ მეტს ხანს ვერ გასტანს ასეთი მდგომარეობაო. ჯერ უნდა მოვითმინოთ, სანამ რენში არ გათავდება საქმის გარჩევა; მაგრამ რაკი ეს საქმე გათავებული იქნება, უმაღლესი სამხედრო საბჭო ძალას დაატანს მთავრობას სამოქმედოთო; თუ ამ უკანასკნელმა არა გააკეთა რა, უმაღლესმა საბჭომ იცის, რაც უნდა გააკეთოსო!.. ეს სიტყვები უცებ მოედვა მთელს ჯარს ზურგში და დიდი მღელვარება გამოიწვია. ეს ამბავი ჩქარა გაიგო სამხედრო მინისტრმა. გამოძიება დანიშნა; რამაც აღმოაჩინა, რომ პოლკოვნიკ ბერტრანს, ოქსონში მყოფ მე-10 ქვეითი ჯარის პოლკის უფროსს, შეეკრიბნა თავისი ხელქვეითი აფიცრები და გენერალ ნეგრიეს სიტყვები შეეწყებინა მათთვის. ბერტრანს როცა ჩვენება ჩამოართვეს, განაცხადა, რომ ჩემი სურვილით როდი ჩამიდენია ეს საქმე, არამედ გენერალ ნეგრიეს ბრძანებითო. გენერალმა მუანო-ვერლიმ, რომლის ხელქვეითია პოლკოვნიკი ბერტრანი, დაამოწმა ამ უკანასკნელის სიტყვები. ამის შემდეგ ჩვენება ჩამოართვეს ნეგრიეს. იმან განაცხადა, რომ ჩემი სიტყვები გადასხვაფერებული იქმნა და ის სრულიად არ მქონია აზრად, რასაც მაწერენო. მაშინ სამხედრო მინისტრმა უბრძანა გენერალს, დასწერეთ თქვენი სიტყვები, რომლებიც თქვენ მიერ იყო წარმოთქმული და სხვებმა გადაასხვაფერესო. ნეგრიემ, რასა თქმა უნდა, ეს ბრძანება შეასრულა და აღმოჩნდა, რომ მისი სიტყვები სრულიადაც არ იყო გადასხვაფერებული. გალიფემ ეს გარემოება აუწყა მინისტრთა საბჭოს და თან დასძინა, რომ ნეგრიეს ამ შემთხვევაში თანამოაზრე არავინ ჰყოლია უმაღლეს სამხედრო საბჭოს წევრთაგან, რომელთაც ეხება თავისს სიტყვაშიო. მინისტრთა საბჭომ დაადგინა — დათხოვნილ იქმნასო ნეგრიე უმაღლეს სამხედრო საბჭოს წევრობიდგან და ჯარების ინსპექტორის თანამდებობიდგან და სამინისტროში ჩაირიცხოსო. ნეგრიეს ბრძანება გაუგზავნეს, დაუყოვნებლივ პარიჟში დაბრუნდიო.

ნეგრიეს დათხოვნის შემდეგ, სამხედრო საბჭოს წევრებად დარჩნენ: საბჭოს თავმჯდომარე გენერალი გალიფე, საქმის მომხსენებელი, მთავარ შტაბის უფროსი, გენერალი ბრო; წევრები — გენერალი ჟამონი, ჟიოვანი ნელი, ლარშე, ცურლინდენი, ზედე, დიუშენი, ერვე და ბრიუჟერი. დიუშენს ჰქონდა მინდობილი ზელიეს წინააღმდეგ გამოძიების მოხდენა, მაგრამ მის მიერ მოხდენილი გამოძიება საკმარისად ვერ იცნო მთავრობამ; ერვეს დისციპ-ლინა განიზრახა მთავრობამ, დრეიფუსის საქმის გარჩევის შემდეგ; ცურლინდენს კარგად იცნობს საზოგადოება, თუმცა თვალითაც უყურებენ მას დრეიფუსის მომხრენი. აქედგან ცხადია, რომ ნეგრიეს თანამოაზრენიც უნდა ჰყოლოდნენ უმაღლეს სამხედრო საბჭოში. როგორც ამბობენ, გალდეკ-რუსოს სამინისტროს თათბირი ჰქონდა პოლიციის პრეფექტ ლეპინთან იმის შესახებ, თუ რა ღონისძიება უნდა ეხმარათ, რომ ხალხს მანიფესტაცია არ გაემართა ნეგრიეს დათხოვნის გამო, რომელიც ძლიერ საყვარელ გენერალთა რიცხვს ეკუთვნოდა საფრანგეთში. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, არავინაც არ ფიქრობდა თურმე მანიფესტაციის გამართვას. ნეგრიე მივიდა პარიჟში, დილით ჩვეულებისამებრ სასეირნოდ წავიდა ბულონის ტყეში და მერმე სამხედრო სამინისტროში მივიდა, რათა ანგარიში წარედგინა იმას შესახებ, თუ როგორ მდგომარეობაში ჰყოფა ჯარები. როგორც ამბობენ, ის სრულებით არ აღელვებულა, როცა გამოუცხადებიათ, რომ თანამდებობიდგან გადაგაყენა მთავრობამაო. ზოგიერთ გაზეთებს სამწუხაროდ მიაჩნიათ ნეგრიეს სამსახურიდგან დათხოვნა, როგორც საუკეთესო გენერლისა; ნაციონალისტური გაზეთები პირდაპირ ლანძღვენ მთავრობას ასეთის საქციელისათვის; რადიკალური გაზეთები კი ძლიერ აქებენ სამინისტროს გაბედულობისათვის, რომელსაც, მათის სიტყვით, დისციპლინის დამყარება შეუძლიან მხედრობაში.

— როგორც იუწყებიან, მთავრობის კომისარს, რენის სამხედრო სასამართლოში, პოლკოვნიკს კარიერს, საკუთარ შეუსწავლია დრეიფუსის საქმე და თავისი აზრიც დაუდგენია ბრალდებულის დანაშაულობის თუ უდანაშაულობის შესახებ. სახელდობრ რა აზრისა არის ის, ჯერ არავინ იცის, მაგრამ ზოგიერთი დრეიფუსის მომხრე გაზეთები-კი ამტკიცებენ, რომ კარიერი დარწმუნდა, რომ დრეიფუსი დამნაშავე არისო.

## დამჯერდი

სწავლულებისა ძირნი მწარე არიან, ხოლო ნაყოფნი ტკბილ და შვენიერ.

საეკლ. მუზ. № 153

* * *

საქონელი კაცისა ბედითი არს, თუ მოხმარება არ იცის.

ფილოსოფ. პლატონ

* * *

ერთი მუშა ხუთთა უმჯობეა.

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდან

(ამოკრებილი ამბები)

ჩინეთში ისე ძნელი არაფერი ყოფილა, როგორც ფოსტალიონის და წერილების დამტარებელის ადგილის შოვნა. კანდიდატებს ამ თანამდებობაზედ ისეთ ეგზამენს აპერინებენ, რომ ყველას არ შეუძლიან ამ ეგზამენის გარდახდა. კანდიდატმა უნდა დაამტკიცოს, რომ ღონიერი, უშიშარი და დიდის გამპირვების ამტანი კაცია. ამ აზრით, გამოსაცდელად, სიმძიმეებს აზიდვინებენ ერთის ადგილიდგან მეორეზედ, მაღალ მთებზედ ან დიდ ხევებსა და ხრამებში ჰგზავნიან, ღამეს ათევინებენ ისეთს ადგილებში, სადაც ვითომ ეშმაკები და ქინკები ბუდობენ და სხვა.

* * *

ერთ ინგლისელს მოუგონია თვით-მავალი ზარბაზანი. ზარბაზანს არც ცხენები უბია და არც სხვა რამ; მანქანის შემწეობით ზედ მჯდომ კაცს ადვილად შეუძლიან იმის ერთის ადგილიდგან მეორეზედ გადატანა. საათში ასეთი ზარბაზანი 28 კილომეტრს გაივლის. საყურადღებო ეს ზარბაზანი კიდევ იმით არის, რომ ზედ მჯდომს იგი სიარულის დროს შეუძლიან გასტენოს და გაისროლოს ხოლმე.

* * *

ოჯახებში ზაფხულობით ძალიან ხშირად ხმარობენ ხოლმე ჩრჩილის წინაალმდეგ ეს-

---

თვალებით შეჰყურებდა ქმარს.

— თქვენ თვითონა ბრძანებულხართ რესტორანში და შეგიკვეთიათ სადილი. ვისთვის, ვისთვის??.., მეტყვით თუ არა?

„რისა გეშინიან, ის კაცი ხომ აღარ მოვა?“—ო, გაიფიქრა ბუსოს ცოლმა, თავი მაღლა აიღო და თამამად მიუგო:

— ნეტა ვიცოდე, რა გაბრაზებს და გაყვირებს, რა ნახე ისეთი? ამხანაგი ქალი მოვიწვიე და რადგანაც მინდოდა კარგა დავხვედროდი, სადილი რესტორანში შეუკვეთე.

— გეყოფა ამდენი ტყუილების ლაპარაკი! კარებში მითხრეს, რომ ყმაწვილ კაცს მოელოდი და ეს კაცი მოვიდა კიდეცაო.

— მაშ მონახეთ და იპოვნეთ ეგ თქვენი ყმაწვილი კაცი!—დაცინვის კილოთი მიუგო ცოლმა.

როგორც ვუწყით, ჩვენი ტამპონე ამ დროს სასტუმრო ოთახში იყო.

— ძლივს!—წამოიძახა ტამპონემ, რაკი ბუსოს და იმის ცოლის ხმა გაიგონა და იმ ოთახისაკენ გასწია, საიდგანაც ლაპარაკი მოდიოდა.

ტამპონემ სწორედ იმ დროს შეჰყო თავი ოთახში, როდესაც ეჭვიანი ქმარი ვითომ და დამალულის ყმაწვილის კაცის საძებნელად აპირებდა წასვლას.

— თქვენ,—შეჰყვირა ბუსომ—თქვენ, ბრძანდებით ეს ყმაწვილი!?.

და ამ სიტყვებთან ერთს კისერში სწვდა გაშტერებულ და თვალებ-დაჭყეტილ ტამპონეს და ძალზე ნჯღრევა დაუწყო.

— მაშ თქვენ, ჩემმა საუკეთესო მეგობარმა, შეაცდინეთ ჩემი ცოლი!. იცოდეთ, მუქთად არ ჩაგიტარებთ ასეთ საქციელს!

საცოდავ ტამპონეს არაფერი არ ესმოდა, იდგა გაშტერებული და თვალებს ახამხამებდა. ბოლოს, რაკი ბუსომ უფრო და უფრო მოუმატა ყვირილს და ჯიბიდგან რევოლვერიც ამოიღო, ძალზე გაყვითლებულმა და ფერ-წასულმა ტამპონემ უკანასკნელი ღონე მოიკრიბა, გაუსხლტა ეჭვიან ქმარს ხელიდგან და, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, კარებისაკენ მოჰკურცხლა. ბუსომ ორი ტყვია გააყოლა, მაგრამ აღელვებულმა და ხელებ-აკანკალებულმა ვერც ერთი ვერ მოარტყა.

წინა ოთახში გზა-კვალ დაბნეულ ტამპონეს რესტორანის ლაქია დახვდა.

— ხომ არ მიბრძანებთ სადილი მოგართვათ?

მიჰმართა მან ტამპონეს; მაგრამ ამ საცოდავს რაღა სადილი აგონდებოდა, გაცხარებული კარებს დაეძებდა.

ყვირილსა და რევოლვერის ხმაზედ სახლის სხვა მდგმურებიც გამოცვივდნენ. ზოგი მათგანი ტამპონეს დაედევნა უკან, ზოგმა კიდევ ღრიალი შეჰქნა:

— არიქა, ქურდი! მკვლელი! დაიჭი, არსად გაუშვა!!.

— ჩქარა გარეკე ცხენები!—მიჰმართა ტამპონემ მეეტლეს, რაკი კარებში გამოვიდა და ეტლში ჩაჯდა, მაგრამ რაღას გარეკავდა, როდესაც ქუჩაში მთელმა ბრბომ მოიყარა თავი და ეტლს გზა გადაუღობა. მალე პოლიციელნიც გამოჩნდნენ, ჩვენ საცოდავ ტამპონეს ხელი სტაცეს და პოლიციისაკენ გაუყენეს გზას.

— ღმერთო ჩემო! ტამპონე, ეს რა ამბავია?—შეჰყვირა ერთმა მგზავრმა, რაკი თავისი მეგობარი ეტლში დაინახა, რომელსაც გარს პოლიციელნი ეხვივნენ.

— აბა რა ვიცი რა ამბავია!—ძლივს წარმოსთქვა ღონე-მიხდილმა ტამპონემ.—ერთი გააგებინე, მეგობარო, ამათ, რომ არც ქურდი ვარ და არც კაცის მკვლელი. რევოლვერი მესროლეს, კინაღამ სული გამაფრთხობინეს.

— შენ და ქურდი!?. მკვლელი!?. ბატონებო, გეფიცებით, რომ ეს კაცი მშვიდობიანი მოქალაქეა, ბუზის წყენაც-კი არ შეუძლიან.

— ეს ამის ამხანაგია! თავისს მეგობრის გამოხსნა უნდა! დააპატიმრედ ეგეც!—შეჰყვირა ბრბომ.

პოლიციელებმა ბრბოს დასაწყნარებლად ტამპონეს მეგობარიც გვერდით მოუსვეს და პრეფექტურაში ამოაყოფინეს თავი. ტამპონემ დაწვრილებით უამბა პოლიციის მოხელეს ყოველივე თავგადასავალი. შესანიშნავი წერილიც-კი აჩვენა. პოლიციელმა ბევრი იცინა და ბოლოს პატიმარი გაანთავისუფლა. მეგობრები ეტლში ჩასხდნენ და გზას გაუდგნენ.

— სად მივდივართ ეხლა?—დასუსტებულის ხმით მიჰმართა ტამპონემ მეგობარს.

— ჩემთან სადილად.

— რაღა სადილი, ლუკმას ველარ ჩავყლაპავ.

ეტლი გაჩერდა და მეგობრებს კარებში დიასახლისი გამოეგებათ.

— წარმოიდგინე, ჩემო კარგო, ჩვენს ტამპონეს ცილი დასწამეს, სხვის ცოლს ეარშიყებოდაო, — მიჰმართა ტამპონეს მეგობარმა თავისს მეუღლეს.

— გეფიცებით, რომ სულ ტყუი... დაიწყო ტომპანემ, მაგრამ დიასახლისმა აღარ დააცალა:

— კარგი, კარგი, სადილის დროს გვიამბეთ დაწვრილებით. ეხლა-კი მშვენიერ სადილს შეექეცით.

— რა გაქვთ სადილად?—იკითხა ტამპონემ.

— მოხრაკული ცხვრის ხორცი და.....

— მოხრაკული ცხვრის ხორცი? უკმაყოფილოდ წამოიძახა ტანჯვაგამოვლილმა ტამპონემ და გაიფიქრა: „აქაც მოხრაკული ცხვრის ხორცი! რაღა ამდენი წვალების გამოვლა იყო საჭირო, ბარემ შინ დავრჩენილიყავ და არხეინად შევქცეოდი სადილსა?“

ი. ა—ძე

რედ წოდებულ ნავტალინს. როგორც ბუდაპეშტელი მკურნალი იული დიულანი იუწყება ერთს ჟურნალში, ეს ნავტალინი კაცის ჯან-მრთელობისათვის მეტად მავნებელი ყოფილა თურმე, ასე რომ კაციც კი შეიძლება მოიწამლოს იმისაგან. ერთხელ ეს მკურნალი ერთს 16 წლის გიმნაზისტთან მიუწვევიათ, რომელსაც მთელი სამი კვირა თავის ტკივილი ჰქონია ავარდნილი და პირს ასაქმებდა თურმე. თავის ტკივილი და პირ-საქმობა სადილს უკან ძილის შემდეგ აუვარდებოდა ხოლმე. პირველ ხანს ექიმი ვერ მიმხვდარიყო ავადმყოფობის მიზეზს, მაგრამ, როდესაც ერთხელ ოთახში შესულა, ნავტალინის სუნი სცემია. გამოკითხვის შემდეგ შეუტყვია, რომ ოჯახში ნავტალინსა ჰხმარობდნენ ჩრჩილის წინააღმდეგ; განსაკუთრებით იქ აყრიდნენ ბევრს ნავტალინს, სადაც ყმაწვილი იწვა. მაშინ დიულანს გაუწმენდინებია ლოგინი ნავტალინისაგან და შემდეგისთვისაც აუკრძალავს იმის ხმარება. ამ დღიდგან ყმაწვილი სრულიად მორჩენილა; აღარც თავი ასტკივნია და აღარც პირს უსაქმებია თურმე.

***

თუ იტალიანურ გაზეთებს დაუჯერეთ, პალერმოს უნივერსიტეტის პროფესორს ვინცენტ ჩერველლოს გამოუგონია ახალი, საუკეთესო წამალი ჭლექიანის მოსარჩენად. ამ წლის 29 აპრილს ჩერველლოს ახლად გამოგონილ წამლის შესახებ მოხსენება წაუკითხავს იტალიის სამეფო სამკურნალო აკადემიაში და ყველანი აღტაცებაში მოუყვანია. ჩერველლო ჭლექიანს ფორმალდეიდის შემწეობით არჩენს თურმე. დღემდისაც უწყოდნენ, რომ ფორმალდეიდი კარგი საშუალებაა ჭლექის წინააღმდეგ, მაგრამ ისე ვერ მოეხმარათ იგი, რომ ადამიანის სხვა ორგანოებისთვის არ ევნო. ჩერველლოს ისეთი მანქანა გამოუგონია, რომლის შემწეობითაც შეიძლება ჰაერის იმოდენად გაჟღენთა ფორმალდეიდით, რამოდენაც ფილტვებისათვის არის საჭირო ავადმყოფის განსაკურნავად. პალერმოს მახლობლად აკვა-სანტაში უკვე შესდგომიან ფორმალდეიდით ჭლექიანების განკურნებას. პირველად 9 დედაკაცი და 17 მამაკაცი შესულა ახალს სამკურნალოში. ამათგან 4 სრულიად განკურნებულა და დანარჩენნიც განკურნების გზას ადგიანო, იუწყებიან იტალიანური გაზეთები. ამ ბოლოს დროს აუარებელი ჭლექიანი მიაწყდა თურმე აკვა-სანტოს, რის გამო შესდგომიან იმ შენობის გაფართოებას, სადაც საავადმყოფო არის მოთავსებული.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

21 ივლისი.

**პარიჟი.** ლუბე დღეს რამბულიეში მიემგზავრება.

**პარიჟი.** უნივერსიტეტის სადისციპლინო საბჭომ დაადგინა აეკრძალოს ვოლტერის ლიცეის პროფესორს ველიუს ლექციების კითხვა 3 თვით და მოესპოს მას წლიურის ჯამაგირის მესამედი იმის გამო, რომ თავისს მოსწავლეებთან დრეიფუსის საქმეზედ საუბარი გამართა.

22 ივლისი

**პეტერბურგი.** „მთავრობის უწყ."-ში დაბეჭდილია: „უმაღლესის ბრძანების თანახმად განზრახულია გადადებულ იქმნას 3.262,000 მან. საიმპერატორო უნივერსიტეტებთან საზოგადო ბინების გასამართავად და გაიცეს ყოველ წლივ 32,400 მან. უნივერსიტეტების იურიდიულ და ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტებზედ პრაქტიკულ მეცადინეობის გასამართავად და გასაძლიერებლად". ამასთან ერთად „მთავრობის უწყ."-ში გამოქვეყნებულია საერო განათლების მინისტრის ბრძანება, რომელშიაც გამოთქმულია, რომ საჭიროა დამყარდეს ურთიერთობა მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის. ამ აზრით ნება დართულია, დაარსებულ იქმნას, პროფესორთა პასუხის გებით და ხელმძღვანელობით, სამეცნიერო და სალიტერატურო წრეები მეცნიერულ და ლიტერატურულ საგნების შესახებ რეფერატების წასაკითხად და გასარჩევად, აგრეთვე მგალობელთა გუნდები და ორკესტრები, და დასასრულ, სტუდენტთა საზოგადო ბინები. ,,ეს ბინებიო, ნათქვამია შემდეგ, განათავისუფლებენ ყმაწვილ კაცებს ბინებისა და სასმელ-საჭმელისათვის ზრუნვისაგან და დაიცვენ მათ უცხო ქალაქის მავნებელ გარეშე გავლენისა და ცთუნებისაგან; ამასთან თუ კარგად იქმნებიან მოწყობილნი, ფართო გზას გაუხსნიან სასწავლებელთა მთავრობას, მასწავლებელთ და მოსწავლეთ ერთმანეთთან დაახლოვებისათვის და შეჰქმნიან საუკეთესო პირობებს სამეცნიერო სწავლა-მეცადინეობისათვის, განსაკუთრებით თუ ამ მეცადინეობის ხელმძღვანელობას მასწავლებლები იკისრებენ. სტუდენტთა საზოგადო ბინების გასამართავად მთავრობას განზრახვა აქვს ძალიან დიდი ფული გადასდოს. სასურველია, რომ ადგილობრივმა საზოგადოებებმაც დახმარება აღმოუჩინონ ამ კეთილ საქმეს შემოწირულებით. ამ აზრით შესაძლებელია დაარსებულ იქმნას განსაკუთრებული კომისიები პროფესორთა და ადგილობრივის საზოგადოების წარმომადგენელთაგან, სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თავმჯდომარეობით. რაც შეეხება კურსებისა ანუ სტუდენტთა სხვა გვარ ორგანიზაციებს მათის წარმომადგენლებით, დეპუტატებით ანუ მამასახლისებით, ესენი მე, არა თუ მეტად, არამედ საზიანოდაც მიმაჩნია აკადემიურ ცხოვრების მშვიდობიანის მიმდინარეობისათვის, რომელიც აუცილებელ პირობას შეადგენს სწავლა-მეცადინეობის წარმატებით მსვლელობისას.

**პეტერბურგი.** 22 ივლისს, დედოფალის იმპერატრიცის მარიამ თეოდორეს ასულის სახელ-წოდების დღეს, ალექსანდრიის აგარაკის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა, რომელსაც დაესწრნენ მათი იმპერატორობითი უდიდებულესობანი და უმაღლესობანი.

**გროდნო.** ქალაქის დასავლეთ მხარეს ცეცხლი უკიდია. დაიწვა: სამხედრო საზაფხულო ლაზარეთი, ყასბის დუქნები, სასკოლო ეზო, მრავალი ხისა და ქვის სახლი. ზარალი დიდია.

**პარიჟი.** რევიზიონისტთა ზოგიერთი გაზეთები ამბობენ, რომ მერსიე რენში შემდეგს განაცხადებსო: „მიუნსტერმა წარმომიდგინა დრეიფუსის დანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთები, მაგრამ საიდუმლოდ-კი. მიუნსტერმა გამაგებინა, რომ თუ მე ის ამ საქმეში ჩავრიე, უარს იტყვის ყველაფერზედ."

**პარიჟი.** დელკასე პეტერბურგში წავიდა. მინისტრს თავისი მდივანი ახლავს თან.


# განცხადებანი

## ტფილისის სათავად-აზნაურო სოკოლისაგან

1) მდგომარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში არის სულ ორმოცდა თექვსმეტი ვაკანსია: პირველ განყოფილებაში 50 ვაკან. (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის) და მეორეში 6 ვაკ. (8 და 9 წლის ყმაწვ.) სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის.

2) 56 ვაკანსიიდგან 55 არის დანიშნული გარედან მოსიარულეებისათვის და ერთი საზოგადოების სრულ ხარჯზედ.

3) ვინც საზოგადოების სრულ ხარჯზედ იქმნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება.

4) ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნასაზოგადოების სრულ ხარჯზედ, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად აზნაურობის წინამძღოლისაგან, გ) მოწმობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა, რომ იგი ირიცხება ხსენებულ ბანკის დამფუძნებელთა შორის, დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

5) ვისაც გარედგან მოსიარულეთ ჰსურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები. გარდა დამფუძნებელობისა და სიღარიბისა.

6) უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველნი მიშვებულნი იქმნებიან წილის ყრით.

წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ ყველა საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

7) ვინაიდგან პანსიონში შემომსვლელთათვის მცირეა ვაკანსიების რიცხვი და მსურველი-კი ბევრია, სკოლის გამგე კომიტეტი იძულებული იქმნება დაითხოვოს ის პანსიონერები, რომლებზედაც წინა წლის ფულია დარჩენილი იმისთვის, რომ ადგილი დაუცალოს ახალ შემომსვლელებს. ამიტომ სკოლის მთავრობა სთხოვს მშობლებს, რომელთაც სრულად არა აქვთ შემოტანილი სწავლა-აღზრდის ფასი, უთუოდ შემოიტანონ პირველის ენკენისთვისათვის, რაც არის მაიზეზ დარჩენილი, თორემ მათი შვილები უსათუოდ იქმნებიან დათხოვნილნი პანსიონიდამ.

8) შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ განთავისუფლდეს რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულ საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზედ. ვინც საკუთარ ხარჯზედ შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი შემოსვლისათანავე და ათი იანვარში.

9) თხოვნების შემოტანა შეიძლება აგვისტოს 25-დღის. ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Тифлисской Дворянской школой на Лабораторной улицѣ въ д. Селикова.

10) აგვისტოს 26 და 27 რიცხვებში მოხდება ხელ-მეორე გამოცდა ზოგიერთ მოსწავლეებისა და 28—31 მისაღები ეგზამენები.

1 სექტემბერს დაიწყება სწავლა.

11) პანსიონში არ იქნებიან მიღებული აგრეთვე ის პანსიონერებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ $18^{99}/_{900}$ სასწავლო წლის ფულის ნახევარს.

12) ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდები ტფილისში მცხოვრებთაგან, რომელთაც შეეძლოს სკოლის გამგეობას მიმართოს, როგორც ფულის თავისს დროზე შემოტანისა, აგრეთვე სხვა შემთხვევებშიაც.

ისყიდება ახალი წიგნი წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და ავტორთან ქ. სიღნაღში.

ОПЫТЪ
ГРУЗИНО-РУССКАГО
СЛОВАРЯ
дла начальныхъ училищъ
К. БАГАЕВА
ფასი 50 კ. (15—1)

## აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა ამხანაგობისა ისყიდება **ქუთაისში**—წერეთლის წიგნის მაღაზიაში; **ყვირილაში**—ილია მაღლაკელიძის მაღაზიაში; **ბათუმში**—მაქსიმე კიკვაძის მაღაზიაში (სასტუმრო „საფრანგეთის" პირდაპირ); **სამტრედიაში**—ქალთა დანელიების სამკერვალოში და **სოფ. კუხში**—თითონ ამხანაგობის ქსოვილების სახელოსნოში.

(50—ნ.—9) ნ. წერეთელი

# გამოვიდა მესამე წიგნი

ივანე როსტომაშვილის რუსულ-ქართულის ენციკლოპედიურის ლექსიკონისა ასო В (ვიზე).

წიგნში შეტანილია მთელი სტატიები შემდეგ საგნებზედ: Вавилонія, Вавил.плѣненіе,—столпотвореніе, Ваганъ Мамиконянъ, Вагаршакъ I, II, Вагаршапатъ, Ваггабиты, Вагинизмъ, Вагонъ, Важсская грамота, Вазаская губ., Ваке, Вакуфъ, Вакханалія, Валаамъ, Валахи, Валашкертъ, Валдай, Вале, Валезіане, Валенсія, Валка лѣса (ხე-ტყის მოჭრა), Валленштейнъ, Валлисъ, Валлон. страна, Валтасаръ, Валуевы, Валунъ, Валухъ, Вальвація, Вальденсы, Вальдшнепъ, Вальпургіева ночь (ნემეცური ქიაკოკობა), Вальцы, Вамбери, Вампиръ, Ванати, Вандалы, Вандея, Ваниль,Варрантъ, Варухъ, Варшава, Варшав. губ.,—трактатъ,—велик. герцогство,—вѣнская жел. дорога, Варъ, Варяги, Варѳол. ночь, Васакъ Сюнскій, Басилискъ, Василій Блаженный,—Великій, Васильчиковъ, Васко де Гама, Вассаль (მერინოსების მომშენებელი რუსეთში), Вата, Ватиканъ, Ватъ-Тайлеръ, Вахваховы, Вахтангъ I, II, III, IV, V, VI, Вахуштъ, Вачнадзевы, Вашингтонъ, Ваяніе, Введеніе во храмъ, Вдова, Вегетаріанство, Веденъ, Веджини, Везировы, Везувій, Веймутова сосна, Вели, Велизарій, Великанъ, Великая Бухарія,—Греція, - камен. стѣна,—княжна,—княгиня,Великая хартіявольностей,Великійкнязь,Великоанадольское степн. лѣсничество, Великобританія, Великокняжескія монеты, Велисъ-цихе, Величина животн.,—растеній, Величка, Величко, Веліо Велингтонія,—нъ, Велосипедъ, Вельгавенъ, Вельпо, Венгерка (ქანქური), Венгрія, Венера, Венерич. болѣзни, Венеція, Вентиляторы, Вера и Верійское ущелье, Верблюдъ, Вербовка, Вергеландъ, Верди, Верещагинъ, Вермишель, Версаль, Вертушка, Вертячка (რეტი), Верхняя Карталинія,—Палата, Веске (ფინნების ენათა მკვლევარი), Весен. работы въ сельск. и лѣсн. хоз., Веспасіанъ, Вессель, Веста и Весмалка, Вестготы, Вестминстеръ, Вестфалія, Вестъ-Индія, Ветерин. институты и школы, Ветлян. станица, Ветхій завѣтъ,—человѣкъ, Ветчина, Вечерня, Вешняковъ, Вещевое довольствіе, Взрывчатія вещества, Взятокъ пчелъ, Вивсюгъ (საკვები ბალახია), Вигандъ (ბოტანიკოსი), Вишлянцій (მღვდელი), Вигонъ, Видукиндъ, Византія, Вика (ქვიშნა), Викарій, Виклефиты, Виктор. дни, Вильгельмъ I, II,—Завоеватель,—Тель, Вильно, Вино, Винодѣліе, болѣзни вина и винограда и лѣченіе ихъ, Виргилій, Вирховъ, Висраміани,Виссаріонъ Никейскій, Висячій мостъ, Витализмъ, Витебскъ, Виттова пляска, Вихрей, Вишня, Виѳлеемъ, Владикавказъ, Владик. жел. дорога, Владиміръ, Влахерна, Вогормацъ, Ашотъ, Вогуличи, Вода, Водка, Водная культура, Водовладѣніе, Водолеченіе, Водоудерж. платина, Водянка, Воеводскій, Военная администрація,—географія и статистика,—исторія,—контрабанда,—медицина,—хитрость,—груз. дорога,—духовенство,—искуство,—краснорѣчіе,—положеніе,—ветеринары,—исправит. роты,—плѣнный,—судебн. вѣдомство,—уголовные уставы,—учебн. заведенія, Воздухъ, Воздушн. шаръ, Возліяніе, Возложеніе рукъ, Возмужалость, Вознагражденіе за вредъ и убытки,—неправильно привлеченныхъ къ уголовному суду и невинно осужденныхъ, Воздвиженіе креста, Вознесеніе Господне, Возобновленіе лѣса,—судебныхъ дѣлъ, Возрастъ въ уголовномъ правѣ,—домашныхъ животныхъ, Войнская повинность (წესდებით), Войлочн. болѣзнь винограда и деревьевъ,Волга,Волкъ и средство къ его истребленію,Волосные сосуды, Волхвы, Волчанка, Волчецъ, Волъ, Вольн. эконом. общество, Вольноопредѣляющіеся, Вольтеръ (დიდებული მწერალი XVIII ს.), Воплощеніе, Ворона и воронъ, Воронцовы, Воровство пчелиное, Восковыя деревья, Воскресеніе I. X.,—мертвыхъ, Воскресный отдыхъ, Воскресныя и Вечерныя школы, Воскр. и вечерн. курсы и классы, Воскъ, Воспитаніе, Воспитательные дома, Воспоръ, Воспріемники, Востоковъ, Восточная война,—Церковь,—вопросъ,—Туркестанъ,—факультетъ,—монеты, Вотяки, Вощина, Врожденный, Вселенскіе соборы, Всемірный потопъ,—языкъ, Всеподданнѣйшія прошенія и жалобы, Вскармливаніе ребенка, Вскрытіе тѣла,—венъ, Всходы, Всхожесть сѣмянъ, Второе пришествіе I. X., Второзаконіе, Второй спасъ, Вулканизмъ, Входъ въ Іерусалимъ, Выходъ, Выборгъ, Выборное право, Выдра, Выемка меда, Выжиганіе по дереву, Выздоровленіе, Вызовъ въ судъ, Выкидышъ, Вырестъ рыбы, Вырожденіе, Высиживаніе яицъ, Выставка пчелъ, Высыпаніе зерна, Вѣна, Вѣнецъ, Вѣнчаніе, Вяленіе картофеля, Вятка, და სხვა მრავალი წვრილი სტატია და განმარტება უცხო და ჩვეულებრივ სიტყვათა (ორი ათასზე მეტი სიტყვაა განმარტებული). ყოველივე ეს ახსნილი და განმარტებულია ყველასათვის ადვილ-გასაგების ქართულის ენით, რის გამოც ჩვენი ენციკლოპედიური ლექსიკონი შეადგენს უკეთესს სახელმძღვანელოს საენციკლოპედიო სწავლა-განათლებისათვის, რომელიც ერთად-ერთი ძალაა ხალხში მიმალულის ნიჭის აღორძინებისა და განვითარებისათვის, რადგანაც ენციკლოპედია გააცნობს კაცს ბევრს ისეთს საგანს, რომელთ არსებობას იგი იქნება არც-კი მოელოდა.

სულ გამოვა 15 წიგნი (თითო ორას-გვერდიანი) და ეღირება მხოლოდ **12 მანეთი**, რომელიც ხელის-მომწერს შეუძლიან ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანოს: პირველად **სამი მანეთი** (ამაში გაეგზავნება სამი უკვე გამოსული წიგნი), ხოლო დანარჩენი **ორ-ორ მანეთობით** ყოველ შემდეგ ახალ წიგნის მიღების დროს. მეოთხე წიგნი (ასო Г-ზე) გამოვა ამ წლის დასასრულს.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Въ Тифлисъ Ивану Павловичу Ростомашвили. (3—104—1)


Дозволено цензурою, Тифлисъ 23 го Іюля 1899 г. სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობის რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.